**საიმიგრაციო და სავიზო ინფორმაცია სექსუალური და პიროვნებათაშორისი ძალადობის მსხვერპლთათვის**

---

საერთაშორისო სტუდენტებისა და სტიპენდიანტებთათვის, რომლებსაც კითხვები აქვთ თავიანთ საიმიგრაციო და სავიზო სტატუსთან დაკავშირებით, რეკომენდებულია დახმარებისთვის მიმართონ საიმიგრაციო რწმუნებულს. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს კანონის გარკვეული ასპექტების ერთგვარ განმარტებას, მაგრამ ის არ ცვლის იურისტის კონსულტაციას.

**მე ვარ ფიზიკური შეურაცხყოფის მსხვერპლი, ჩემი საიმიგრაციო სტატუსი მოქმედებს ჩემს შესაძლებლობაზე ვისარგებლო სტუდქალაქის რესურსებით?**

არა, კანონის თანახმად, სტუდენტებს და პერსონალს, რომლებიც სექსუალური ან პიროვნებათაშორისი ძალადობის მსხვერპლნი ან გადარჩენილები არიან, იგივე უფლებები ენიჭებათ 1972 წლის "საგანმანათლებლო ცვლილებების" IX ტიტულის (ტიტული IX) და "კანონი ქალების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ" (VAWA) თანახმად, მიუხედავად მათი საიმიგრაციო და სავიზო სტატუსისა.

| | |
|---|---|
| ინფორმაცია სტუდქალაქის ტერიტორიაზე სამედიცინო და საკონსულტაციო რესურსების, ასევე ხელმისაწვდომი საცხოვრებელი ბლოკების შესახებ, შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე: | https://1is2many.okstate.edu/ |
| ინფორმაცია სტუდენტის მიღების პროცესის შესახებ, შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე: | https://studentconduct.okstate.edu/code |

კოლეჯი არ მიიღებს რაიმე ზომებს თქვენ წინააღმდეგ ან არ შეიცვლის დამოკიდებულებას თქვენ მიმართ დანაშაულის შესახებ შეტყობინების გამო.

**შემიძლია ბრალის წარდგენა, როგორც საბუთიან ან უსაბუთო იმიგრანტს?**

| | |
|---|---|
| დიახ. ინფორმაცია თქვენს შტატში სექსუალური შეურაცხყოფის, შინა ძალადობის, პაემნების დროს ძალადობისა და ფსიქოლოგიური ტერორის სისხლის სამართლებრივი განმარტებების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ყოველწლიური უსაფრთხოების შესახებ ანგარიშში: | https://police.okstate.edu/annual-security-reports |

კონკრეტული კითხვების გაგზავნა ბრალის წარდგენასთან დაკავშირებით, შესაძლებელია მისამართზე:

Oklahoma State University Police Department, OSUPD
104 USDA Building, Stillwater, Oklahoma 74078
405-564-6523
https://police.okstate.edu/
1is2many@okstate.edu

**არსებობს კონკრეტული სავიზო და საიმიგრაციო სტატუსები დანაშაულის მსხვერპლთათვის?**

დიახ. სექსუალური შეურაცხყოფის, შინა ძალადობის, პაემნების დროს ძალადობისა და ფსიქოლოგიური ტერორის მსხვერპლთათვის, შესაძლოა არსებობდეს ვიზის სხვა სახეობის (მათ შორის U და T ვიზების) არჩევის შესაძლებლობა. დეტალებისთვის, გაესაუბრეთ საიმიგრაციო რწმუნებულს.

| U ვიზა | T ვიზა |
|---|---|
| გარკვეული კრიმინალური საქმიანობის, მათ შორის სექსუალური შეურაცხყოფის, შინა ძალადობის, გაუპატიურების, თავდასხმის ან სხვა მსგავს დანაშაულთა გამო არსებითი ფიზიკური ან მენტალური ძალადობის მსხვერპლთათვის:<br>- მსხვერპლი/განმცხადებელი უნდა იყოს კვალიფიცირებული კრიმინალური ქმედების მსხვერპლი და უნდა დაეხმაროს გამოძიებას და/ან კრიმინალური საქმიანობის სამართალწარმოებას;<br>- ჩვეულებრივ, ძალაშია ოთხი წლის განმავლობაში;<br>- დამატებითი ინფორმაციისთვის, კონსულტაციისთვის მიმართეთ საიმიგრაციო რწმუნებულს და იხილეთ: | ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის<br>- უნდა აკმაყოფილებდეს ძალოვანი სტრუქტურების ჯეროვან მოთხოვნებს გამოძიებასთან ან ტრეფიკინგის საქმეების სისხლის სამართლის გამოძიებასთან თანამშრომლობისთვის (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანამშრომლობა ვერ ხდება ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტრავმის გამო), და უნდა შეეძლოს დემონსტრირება, რომ მსხვერპლი/განმცხადებელი წააწყდება უკიდურეს პრობლემებს, თუ მას გააძევებენ შეერთებული შტატებიდან<br>- ჩვეულებრივ, ძალაშია ოთხი წლის განმავლობაში;<br>- დამატებითი ინფორმაციისთვის, კონსულტაციისთვის მიმართეთ საიმიგრაციო რწმუნებულს და იხილეთ: |
| http://www.uscis.gov/humanitarian/victims-human-trafficking-other-crimes/victims-criminal-activity-u-nonimmigrant-status/victims-criminal-activity-u-nonimmigrant-status | http://www.uscis.gov/humanitarian/victims-human-trafficking-other-crimes/victims-human-trafficking-t-nonimmigrant-status |

**არის რაიმე ოფისი სტუდქალაქის ტერიტორიაზე, სადაც შესაძლებელი იქნება დამატებითი ინფორმაციის მიღება?**

, International Students & Scholars
250 Student Union, Stillwater, OK 74078
405-744-5459
https://lcl.okstate.edu/iss/

SUNY The State University of New York

su-iss@okstate.edu

საერთაშორისო სტუდენტებისა და სტიპენდიანტების მომსახურების ბიურო მოგაწვდით საჭირო ინფორმაციას იმიგრაციის სტატუსთან დაკავშირებით. გაითვალისწინეთ, რომ კითხვებით ვიზის სხვა სტატუსებზე ცვლილების ან სამართლებრივი ოფციების შესახებ, რომლებიც სცდება სტანდარტული F-1 და J-1 სტუდენტური ვიზების ან დამსაქმებლის მიერ დაფინანსებული სამუშაო ვიზების ფარგლებს, რჩევისთვის უნდა მიმართოთ კვალიფიცირებულ საიმიგრაციო რწმუნებულს.

| **ვიზის სახეობები** | |
|---|---|
| F-1 და J-1 სტატუსის სტუდენტები<br>• ვარიანტები შემცირებული საკურსო დატვირთვის დამტკიცებისთვის ლიცენზირებული ექიმის, ოსტეოპათიის სპეციალისტის ან ლიცენზირებული კლინიკური ფსიქოლოგის მიერ დადასტურებული სამედიცინო გარემოებების გამო;<br>• ვარიანტები და თქვენი სასწავლო პროგრამიდან ამოღების შედეგები;<br>• ინფორმაცია მოგვიანებით სასწავლო პროგრამაში დაბრუნებასთან დაკავშირებით, თუ სტუდენტი აირჩევს გასვლას;<br>• ვარიანტები და შედეგები თანმხლები მეუღლეებისთვის;<br>• ზოგადი ინფორმაცია ვიზის სტატუსის შეცვლის ვარიანტებთან დაკავშირებით<br>• ზოგადი ინფორმაცია U და T ვიზების შესახებ. (მიმართვა კვალიფიცირებულ საიმიგრაციო რწმუნებულთან)<br>• მიმართვა კვალიფიცირებულ იურისტთან | H-1B, O-1, E-3, ან TN თანამშრომლები<br>• ვარიანტები შვებულებისთვის და შედეგები თქვენს საიმიგრაციო სტატუსზე;<br>• ოფციები და შედეგები თანხმლები მეუღლეებისათვის;<br>• ზოგადი ინფორმაცია ვიზის სტატუსის შეცვლის ვარიანტებთან დაკავშირებით. მიმართვა კვალიფიცირებულ საიმიგრაციო რწმუნებულთან;<br>• ზოგადი ინფორმაცია U და T ვიზების შესახებ. (მიმართვა კვალიფიცირებულ საიმიგრაციო რწმუნებულთან)<br>• მიმართვა კვალიფიცირებულ საიმიგრაციო რწმუნებულთან;<br>• აშშ-ის მოსალოდნელი მუდმივი მაცხოვრებლები (ვისაც მწვანე ბარათები ჯერ დამტკიცებული არ აქვთ)<br>• სამუშაოდან წამოსვლის გავლენა თქვენს მოსალოდნელი დამსაქმებლის მიერ დაფინანსებულ მუდმივი მაცხოვრებლის განაცხადზე;<br>• მიმართვა კვალიფიცირებულ იურისტთან |

**ვინ არის საიმიგრაციო ადვოკატი და რას აკეთებს ის?**

საიმიგრაციო ადვოკატები არიან ლიცენზირებული ვექილები, რომელთა სპეციალიზაციასაც საიმიგრაციო კანონი წარმოადგენს. მათი ფუნქციაა კლიენტის დაცვა; მათ ასევე შეუძლიათ, იყვნენ კლიენტის წარმომადგენლები საიმიგრაციო სააგენტოებში, როგორც საიმიგრაციო სასამართლოში, ასევე საიმიგრაციო შეღავათების მისაღებად საიმიგრაციო განაცხადების შევსებისას. ადვოკატს შეუძლია ზოგადი რჩევის მიცემა და შეუძლია განიხილოს საიმიგრაციო ვარიანტები. სხვა ადვოკატების მსგავსად, საიმიგრაციო ადვოკატები იცავენ პროფესიული ეთიკისა და კანონის მოთხოვნებს და კლიენტთან გამართული დისკუსიების კონფიდენციალობას.

**სად შეიძლება ვნახო ადგილობრივი საიმიგრაციო ადვოკატი?**

| |
|---|
| აშშ-ის მოქალაქეობისა და საიმიგრაციო სამსახურები (USCIS), ნაციონალური უსაფრთხოების დეპარტამენტის ბიურო (DHS) გთავაზობთ ორ საიტს, სადაც შესაძლებელია უფასო ან იაფფასიანი იურიდიული წარმომადგენლის პოვნა:<br><br>USCIS: დახმარებისთვის მიმართეთ თქვენი გაერთიანების ვებ-გვერდს     USCIS: დახმარებისთვის მიმართეთ თქვენი გაერთიანების ვებ-გვერდს |
| საიმიგრაციო საჩივრების საბჭო (BIA) უზრუნველყოფს სახელმწიფო ვექილების სიას, რომლებიც ეწევიან საიმიგრაციო მომსახურებას უფასოდ ან ძალიან დაბალ ფასად. |
| ამერიკის საიმიგრაციო ადვოკატების ასოციაცია (AILA) გთავაზობთ საიმიგრაციო ადვოკატის საინფორმაციო მომსახურებას ონლაინ რეჟიმში, რაც შეიძლება დაეხმაროს სტუდენტს ან სტიპენდიანტს, იპოვოს საიმიგრაციო ადვოკატი. |
| ამერიკელი ადვოკატების ასოციაცია ასევე გთავაზობთ ინფორმაციას სახელმწიფოს მიერ იურიდიული მომსახურების შესახებ. |

SUNY The State University of New York